3-09/1848

ხელშეკრულება

ქ. თბილისი 20.09.2011წ.

შპს "საგზაო ტექნიკა" (შემდგომში "შემსყიდველი") მისი დირექტორის გიორგი როგავას სახით, ერთის მხრივ და **შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"** (შემდგომში "შემსრულებელი"), მეორეს მხრივ, მისი დირექტორის ირაკლი კვაშილავას სახით შევთანხმდით და დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად „შემსრულებელი" კისრულობს ვალდებულებას „შემსყიდველს" გაუწიოს მომსახურება ექსკავატორით, მოდელი «ჰიდრომეკი-102», სახ. ნომერი SZ 600, ხოლო თავის მხრივ „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას გადაუხადოს „შემსრულებელს" შეთანხმებული საზღაური.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელების ადგილია მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის კმ.127-კმ.131 მონაკვეთი.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1 **„შემსყიდველი" ვალდებულია:**

- დროულად აუნაზღაუროს „შემსრულებელს" გასამრჯელო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

2.2. **„შემსრულებელი" ვალდებულია:**

- განახორციელოს მომსახურება არსებულ სტანდარტების შესაბამისად;
- "მექანიზმს" დროულად თავისი ხარჯებით ჩაუტაროს მიმდინარე და კაპიტალური რემონტი;

2.3. „შემსყიდველი" უზრუნველყოფს „მექანიზმს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებისათვის საჭირო საწვავით.

3. მომსახურების ღირებულება, მიღება-ჩაბარების წესი და ანგარიშსწორების პირობები

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს 300 (სამასი) ლარს დღე-ს ჩათვლით ყოველ ნამუშევარ დღეზე.

3.2. მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელების დასრულებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში შეადგენენ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელშიც აისახება ფაქტიურად ნამუშევარი დღეების რაოდენობა შესაბამისი ანაზღაურების მითითებით. აღნიშნული აქტი მიიჩნევა გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარებად.

3.3. ანგარიშსწორება „შემსრულებელთან" განხორციელდება 3.2. პუნქტში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

3.4. ანგარიშსწორება „შემსრულებელთან" განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არასათანადო შესრულებისათვის მხარეები აგებენ პასუხს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

4.2. ხელშეკრულებაში მონაწილე თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით გამოწვეული ზარალი და მიუღებელი შემოსავალი სრული ოდენობით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

4.3. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.4. ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შპს „საგზაო ტექნიკის" შესყიდვების მენეჯერი თეიმურაზ ელკანიშვილი.

5. ფორს-მაჟორი

5.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებების გამო. თუმცა, ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ხელშეკრულების

მხარეებმა უნდა გაატარონ ყველა კეთილგონივრული ღონისძიება, რათა მინიმალურ დროში იქნეს დაძლეული უუნარობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მინიმალური დაგვიანებით შესრულების თვალსაზრისით. ამასთან, ის ვადა, რომლის განმავლობაშიც ხელშეკრულების მხარემ უნდა შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულება გადაიწევს იმ პერიოდის ექვივალენტური დროით, რომლის განმავლობაშიც ასეთ მხარეს არ შესწევდა აღნიშნული ვალდებულებების განხორციელების უნარი ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, თუ ეს საერთოდ იქნება შესაძლებელი;

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.
6.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელების ვადაა 20 (ოცი) დღე დაწყებული წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან.

7. სადაო საკითხების გადაჭრის წესი

7.1. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ხელშეკრულების პირობების შეცვლა

8.1. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია, თუ ისინი შესრულებულია წერილობითი ფორმით, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.
8.2. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი უთანხმოებანი, რაც არ არის მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით, გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

შპს „საგზაო ტექნიკა"
მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №71
ს/კ: 205140257
ბანკი: ს.ს. "საქართველოს ბანკი" –
კოდი: BAGAGE22
ა/ა: **GE14BG0000000282521400**

205140257
RT
შპს საგზაო ტექნიკა
ROAD TECHNIQUE LTD

გიორგი როგავა

„შემსრულებელი"

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"
ს/კოდი: 412670097
მის: ქ.თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №5;
მომსახურე ბანკი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი"
ცენტრალური ფილიალი
ბ/კოდი: 220101480
ა/ა: **GE77LB0113123325230012**

ირაკლი კვაშილავა